




## საქართველოს პოლიტიკური მნიშვნელობა და პოლიტიკის ლიდერებს

ქართველებო სყენანი  
ჯოა ან' თქვენ-თქვენი ჯანსაღით,  
საქართველოებისთვის ყველანი,  
მეტივეთ მეტივანობა ჯანსაღით!



# საბავშვო ჟურნალი



— თავისუფალ ერთა  
მძლე კავშირი, ძმური  
მართლა შეუკრავს  
დიდ რუსეთის ხალხს?  
— ეს კავშირი არის  
ძალღური და მგლური,  
ამიტომაც მის ბელადს  
ჩააცმევენ თალხს!



— ტაშს უკრავდნენ ბრეჟნეფს,  
ცამდე აპუავდათ!..  
დღეს კი რატომ უღალატეს,  
უგვერდეს?  
— ჭერ ქვეყანა დაიკიდა  
ფეხებზე,  
მერე მედღებ-ორღენები —  
გულმკერდზე!

დმერთის, ქრისტეს უარყოფა  
ჰქონდა მიწნად და ოცნებად,

იმიტომაც ვერ ეღირსა  
დღემდე გაპატიონებას!

მოდაშია: გვაგინებენ  
ქართველებს,  
წამდაუნუმ გვასწორებენ  
მიწასთან!..  
მტერს ბევრს ვხედავთ,  
ცოტას ვხედავთ დამცველებს,  
თუმცა, ადრე, ნეტავ,  
ვინლა გვიცავდა?!


ჩვენს „ძმები“  
დღეს ვინ გადარია და  
ვინ დაგესლა,  
ახე ვინ გააბრაზა?  
დინჯად ვითმინთ,  
რომ გვიშენენ ტყვიას და  
გვახსენდება  
„ვირო, მადლის“ ანდაზა!  
— ჩვენ კომუნიზმში შევალთო! —  
ხომ გვაირდებოდა ნიკიტა?  
— კომპარტიაში ხომ შეხველ,  
რატომ გამოდი იქიდან?



ვინ არ გვთელავდა!..  
ქართველთა  
მოსპობა ხურდათ სრულიად!..  
კრემლში ქართველი იჭდაო! —  
და ჩვენი სისხლი წუურიათ!  
თქვენი იუოო სტალინი,  
თქვენი იუოო ბერია!..  
დამცველი არვინ  
არა გვეყვს,  
ჩვენი მლანძღავი  
ბევრია!  
მოდიო, მოვკლათო! —  
უგნურმა  
დღეს ერისკაცზე იყვირა!

დიდი ილია მოვკალით.  
ეს არ გვეყოფა  
სირცხვილად!  
მამული ბეწვის ხილზეა,  
საქართველო გვთხოვს  
ერთ რამეს:  
ძმანო ქართველნო,  
მტერი გვკამს,  
ჩვენც ნულარ დავეკამთ  
ერთმანეთს!

— ჩვენს ღერბს რატომ  
ახატია  
ნამგალი და ურო?  
— ეგ არ არის ჩვენი  
ღერბი!  
— შენ რას ამბობ,  
ხუმრობ?!  
— სკკ სუყოველთვის  
ისეთ კანონს უშეგბს,  
რომ ნამგალი  
თავს კრის გლეგებს,  
ურო ურტყამს მუშებს!



# „თურქული“ კანდიდები ავადმყოფობას

იუმორისა



ჩემს მეუღლეს „თურქული“ შეეცაო. ერთ საღამოს, თავის მეგობარ ჯულიეტას დაბადების დღიდან დაბრუნებული, უხმოდ შემოიძურწა ოთახში. სავარძელში გაიშლართა, სიგარეტი გააბოლა და ტონით ჩაშაყებული თვალები ეკვიანად მომაშტერა.

— ნიკიფორე, შენ თუ ხარ თურქეთში ნამყოფი?  
— თურქეთში რა მინდოდა, ქალო!  
— რა ვიცი, სანამ ჭვარს დავიწერდით, სულ იმას იკვებინდი, ქვეყნის დასალიერამდე ვარ მისული და, აქვე, ყურის ძირში ვერ მიხვედი!

— მივიღოდი, მაგრამ...  
— ჰოდა, რაკი შენ ვერ მოასწარი, მე წავალ და შენგან გულთბილ სალამს გადავცემ იქაურებს.

— ხომ არ გაგიყდი?! ვერ გაიგე, რა საღვთობა შემოიღეს ამ ბოლო დროს სუფრაზე?

— რაო? არ გამიგია!  
— ქართველ ქალებს გაუმარჯოს, თურქეთში ნამყოფთა გარდაო!..

— ვინც რა უნდა, ისა თქვას, გარიგება მოხდენილია, ფული — გადახდილი და ვიზა გამოგზავნილი!

— ვინ გამოგზავნა?  
— ნათესავმა!  
— რომელმა ნათესავმა?  
— ჰასან ჯამათ აშალარ ოღლიმ!

— დედის მხრიდან არის ნათესავი თუ მამისა?

— მაგას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა! ჯულიეტას ახლობელი ხომ არის?! ჩემი მეგობრის მეგობარი კი მეც ახლობლად მომერგება!

— არ ვიცი, ვინ ვის როგორ მოერგება, მაგრამ ერთში კი ნამდვილად ვრწმუნდები: ავადმყოფობა „თურქული“ შენც შეგერიდა, ვაი, ჩვენს პატრონს!

— ნიკიფორე!

მე ყურადღება არ მივაქციე „ეზე“ დასმულ ძახლის ნიშანს, მეორე ოთახში გავდი და სამედიცინო ენციკლოპედიაში ავადმყოფობა „თურქული“ მოვძებნე: „დაავადების ძირითადი წყარო მსხვილი რქოსანის საქონელია“. — ჩავიკითხე და, ჩემდა უნებურად, იმ ადგილზე მოვისვი ხელი, სადაც, შეიძლება, საქონელივით რქები ამომსვლოდა. „ვირუსის სახლობს კანისა და ლორწოვანის დაზიანებულ ნაწილებში, სისხლში და ბეწვზე. გამოიყოფა შარდით, ნერწყვით და რძით 10-12 დღის განმავლობაში“.

მთელი ღამე არ მიძინებია. გათენებისას, ჩავთვლიმე თუ არა, მარჯვენა ლოყაზე მეუღლის ცხელი ტუჩების სითბო ვიგრძენი, დამღვრულვით ფეხზე წამოვივარდი და ნაკონი ადგილის ხელთ სრესა დავიწყე!..

— რა მოხდა, სიყვარულო?! — გავვირ-

ვებულმა ამომძახა ჩემმა მეუღლემ და მაღიანად გაიზმორა.

— არაფერი, უცნაურ სიზმარს ვხედავდი ძილში!

— მაინც როგორს?

— ვილაც ულვაშაპარებილი თათარი მომდევდა, შენ იქვე იყავი და, იმის მაგივრად, რომ მომშველებოდი, სიცილით იფხრიწებოდი!..

— უი, შენ რა გითხრა! ამ ბოლო დროს ეკვიანობაც დაიწყე!

— როგორ გეკადრება, ეკვიანობა რა მოსატანია!

მეორე დღეს მაყვალამ ერთი დიდი ჩანთა ამოიღლია და მთელი დღე დაიკარგა. საღამოს ოფლში გავნითქულმა კიფევაქლოშინით ოთახში რაღაც ფუთა ძლივძლივობით შემოათრია და გულწეწუხებულივით ზედ დაემხო!..

— რა მოხდა?! ტყვიით გაავსე ეგ მოუკუპრავი?!  
— არა, ოქროთი! — ძლივს ამოიკანვალა საცოდავმა. — თავი და კუნთები ისე უკანკალებდა, რომ ნამდვილად შემეცოდა.

კარგა ხნის შემდეგ ნაყიდი ნივთების ამოლაგება დაიწყო, შალაშინებს, ცულებს, ქლიბებს, ელექტრორეულებს, ხერხებს ბელტებივით ისროდა აქეთ-იქით.

— ამათი ყიდვა-გაყიდვით გინდა ამოაბრუნო თურქეთში ჩაკარგული ჩვენი მამაპაპის ძელები?!  
— შენ არაფერი არ გესმის, ნიკიფორე, და უაზრო კითხვებით ნუ მიშლი ნერვებს! ჯობია ის მითხრა, აბაზანას თუ გამატანინებენ საზღვარზე?

— რაო, რაო?! რა აბაზანას?! — ყურებს არ დაუჭერე და სმენის ყველა ნერვი დავძაბე.

— შენ დაგაყრუა ჩემმა გამჩენმა, აბაზანა, „ვანას“ რომ ეძახიან რუსულ ენაზე!  
— ღმერთო ძლიერო! — პირჯვარი გადავიწყრე. — ხუმრობ თუ მართალს ამბობ?! — რა დროს ხუმრობა!

— გაგიყდი, ქალო, თუ რა მოგივიდა?!  
— მე გავვიყდი?! გავვიყდებოდი, აბა, რა

მონივილოდა შენს ხელში?! ქურკი მე არა მაქვს, ჩასაცმელი და დასახური! შენი მიზეზით, შენი! — თქვა და ისეთი ძალით გამომიქანა ქლიბების შეკვრა, რომ დროზე რომ არ მიმეკვტა კარი, მამალმერთთან თუ არა, ალაპთან ნამდვილად ამოვყოფდი თავს.

ჩემს ოთახში ჩავიკეტე და ისევ სამედიცინო ენციკლოპედია გადავშალე: „დაავადება ერთბაშად იწყება. ძლიერი შემცივნების შემდეგ ტემპერატურა 39-40 გრადუსს აღწევს. ავადმყოფს აქვს თავის და კუნთების ძლიერი ტკივილი“.

— დარია ნამდვილად ხელი! — ჩავილაპარაკე და კარის ღრიკოდან მოგულული ხმით შევძახე:

— სიცხეს ხომ არ გაიზომავდი, მაყვალა?  
— სიცხეს მოგცემ, თუ ჩამივარდი ხელში!

ერთი კვირის შემდეგ ჩემი 12 წლის „ვიგული“ მძიმე ტვირთაკიდებული სახედაროვით მიჩაქჩაკებდა ბათუმის მიმართულებით და ისე ჭრიალებდა, როგორც საპონწაუსმელი ურემი სოფლის შარავზაზე!..

— ასე პირდაპირ რომ გავვიშვებდნენ თურქეთში, ხომ იქნებოდა კარგი, ნიკიფორე?

— თურქეთში კი არა, ამოდენა ტვირთით ფარცხანაყენებამდე თუ ჩავალწიეთ, ეგვეც დიდი ღვთის წყალობა იქნება!

— ღმერთს ნუ სცოდავ, ევედრე, მშვიდობიანად ჩავიდეთ საზღვრამდე! კისრამდე ვალეებში ვართ ჩავარდნილი, ამას რომ რამე მოუვიდეს, უღელი უნდა გამოვთალოთ, შიგ შევებათ და ისე მივათრიოთ სარფამდე!

ბათუმში ჩასვლისას ავადმყოფობის პირველმა სიმპტომებმა ჩემზედაც გადმოინაცვლა: სიცხემ ამიწია, ნერვულობა დამეწყყო და თავბრუ დამესხა, საბაჟოს დანახვაზე კანკალმა ამიტანა და გამაცივ-გამაცხელა!..

თავს ძალა დავატანე და სამედიცინო ენციკლოპედიიდან ამოკითხული გვიხსენე: „თურქული სამოვლენებისა ცხადდება სრული კარანტინი, საჭიროა დაავადებულის იზოლირება, ჯანმრთელთა აცრა, თურქულის კერაში ღვინფექციის ჩატარება“.

სრულ ჭეშმარიტებად შევიცანი! ჩემგან უკვე 12 ნათესავს, 5 მეგობარს და 21 მეზობელს გადაეღო. სარფიდან მაყვალას დაბრუნების შემდეგ, მე მგონი, უარესი ცოდვა დატრიალდება. ამიტომაც გვჭირდება კარანტინი, აცრა, ღვინფექცია, თორემ ვინ არის გარანტირებული, რომ იმ ნათესავიდან სხვა ნათესავზე არ გადაინაცვლებს, მეგობრიდან — მეგობარზე, ამხანაგიდან — ამხანაგზე, მეზობლიდან — მეზობელზე და ვინ იცის, კიდევ ვისზე! თუ დროული ზომები არ მივიღეთ, კვარტლივით მოედება, დაავადებს, დაასნეულებს ქვეყანას!

უფროხილდით! თურქული“ გადამდებო სახადია!

უფროხილდით! თურქული“ გადამდებო სახადია!

უფროხილდით! თურქული“ გადამდებო სახადია!

უფროხილდით! თურქული“ გადამდებო სახადია!



— ეჰ, ჩემო კოზა! ვისაც ჭარში უმსახურია და პაუპტვაბტში „ვრემიასთვის“ არ უცქერია. მან ჭარში უოფნა არ დაიკვებოს! — ასე დაიწყო თბრობა ჩემმა მეგობარმა. — ჰოდა, ვზივართ ნაუბახტში (ჭარში ასე ეძახიან) მე და ერთი კიეველი პრისიკო (კიეველი ვმსახურობდი), ამ დროს შემოდის პრაპორშიკი გორბატოვი. აგვხედა და გვხედა და დაიწყო:

— ნუ ჩტო. უფე ბეზ ტრიოს მინუტ ძევიაც, სკორო „ვრემია“ ნაჩიოტისია! ვკლიუჩიწე. პაუალუისტა, წელევიზორ!

მე გაოგნებული დავრჩი: რა ტელევიზორი. რის ტელევიზორი, ნაუბახტში ხის ორი სკამი და ოთხი გაპრიალებული კედლის გარდა არაფერი იყო!

შევცქერით მე და პრისიკო ერთმანეთს.

— აღნა მინუტა ასტალახ, ესლი ნე ვკლიუჩიწე.. — რაც მოგვით, თქვენს თავს და აბრალეთო!

ისეთი ახმახი იყო და ისე ომახიანად გაბკოდა. თითქოს ნაუბახტში მართლაც ტელევიზორი მდგარიყოს, თვითონ კი ხელფეხშეკრულს ვერ შეეძლო ტელევიზორის ჩართვა და ჩვენ გვიკეთინებდა, ხომ ხედავთ, ერთი წუთიდა დარჩა, ჩამირთეთ ტელევიზორი, ბრეუნევის საახალწლო გამოსვლა და ამ სიამოვნებას ნუ მომაკლებთო! თანაც



უმცროს სერუანტს გამოუძახა პრაპორშიკი. მა და უბრძანა:

— დაიწე ეწიმ ღურაკამ რაზეტკუ. ა ტოანი ნე მოგუტ წელევიზორ ვკლიუჩიცი!

ის ერთი წამით გავიდა გარეთ. ნახშირი შემოგვიტანა და თან წაგვჩურჩულა: — სკარეი ნარისუიწე წელევიზორ, ა ტო იეშჩო მ-4 დნია დაბავიცი გაუპტვაბტუ!

მაშინ მივხვდი, ეს კედლები რატომ იყო ასე მოპრიალებული. ვეცე კედელს, ღვთის მადლით ხატვა შემეძლო და დავიწყე დიდ

# „წითელი ჭარში“ „ვმსახურობდი“

ანუ როგორ „ვუცქაროდით“ პაუპტვაბტში  
პროგრამა „ვრემიას“

და ლამაზი ტელევიზორის ხატვა. ხელის სწრაფი მოხმით დავხატე ტელევიზორი თავისი დიდი ეკრანით. ამ დროს მესმის:

— ღურაკ, ნე ზაბუც ანტენუ ადკლუჩიცი! მივხვდი „ნამიოკს“, ტელევიზორს ზედ ლამაზი ანტენაც მივახატე და ღრმად ამოვიხუნთქე, ვიფიქრე, მოვრჩი საქმეს-მეთქი, რომ ამ დროს ისევე გაისმა პრაპორშიკის ბოხი ხმა:

— სუკა, ა კავდა ვკლიუჩიშ წელევიზორ, დოღლო ბუძემ უდაცი?

მივხვდი, რომ შესაერთებელი გამტარის დახატვა დამვიწყებოდა, სასწრაფოდ დავხატე ჩამრთველი და გამტარიც შევადრთე. ერთი სიტყვით, რომ შეგეხედათ, ულამაზესი ტელევიზორი გამომივიდა. ამ დროს ისევე შემამკობელი ბრძანება:

— საპლიაკ, ა კაკუთუ პერედაჩუ სმოტ-რიმ, ატკულა მნე წნაცი?!

ახლა ბრეუნევის ან დიქტორების ჩახატვას და გახმავანებასაც მოითხოვს-მეთქი, ვიფიქრე. ამ დროს ჩემი უკრაინელი თანამოსახუბრე მეძგერა, გამომგლიჯა უკვე დაპატარავებული ნახშირი და ჩემს მიერ დახატული ტელევიზორის ეკრანში ჩაწერა „ვრემია“.

— ვრემია! ვოტ მაღადეც, ვოტ მისლიტ ჩელავეცი! დავაიწე სადიწეს, ბუღემ სმატრეცი! ჩვენც გადმოვდგით ის მონგრეული ხის სკამები და ისე ჩამოვხხედით, ადრე სოფლის კლუბებში კინოს რომ უყურებდნენ ხოლმე. პრაპორშიკი უკან გვივის:

— ნუ, ლეონიდ ილიჩ, ნუ ვი დაიოწე! ჩვენ გახსუსლები ვზივართ.

15-20 წუთი ასეთ გამოსტერებულ პოზში ვისხედით. უცბად გვესმის:

— ნუ, ღურაკი, ნე ვიძიწე, ჩტო წილევიზორ ბარახლიტ: პამეხი!

ვაიძე, — ვიფიქრე. — ახლა კი მორჩა!

საიდან უნდა მოგვეხსნა „პამეხები“? ეს რა დღეში ჩავცვივდით?! არადა, კარგად გვახსოვდა, თუ ბრძანებას არ შევასრულებდით, ნაუბახტში იმ სიცივეში კიდევ ოთხი-ხუთი დღე გვემატებოდა. ისევე ჩემმა უკრაინელმა თანამოსახუბრემ მიშველა, წამოხტა და დახატული ტელევიზორის ირგვლივ დაიწყო ხელების ქნევა, თითქოს რაღაცას უქმევდა. წამოვხტი მეც.

— ხვაწიტ, ხვაწიტ! ნე ვიძიტე რაზეც, ჩტო ტელევიზორ ხარაშო პაკაზივაცე?!

ასე და ამგვარად „ვრემიას“ უურბაში გავიდა ოთხი საათი. დავიღალეთ ხის ძველ სკამზე წელგამართული ჯდომით.

სიჩუმე რომ ჩამოვარდებოდა, ხანდახან მალულად უკან მოვიხედავდი ხოლმე, ჩვენს მტანჯველს ხომ არ ჩაეძინა-მეთქი. ჰოი, საკვირველებავ: ჩვენი სამვარსკვლავიანი პრაპორშიკი ისე მისჩერებოდა ჩემს დახატულ ტელევიზორს, თითქოს მართლაც დიდ და საინტერესო გადაცემას უჩვენებენო და მეც გაოგნებული სწრაფად შემოვატრიალებდი კისერს კვლავ ტელევიზორისაკენ და გულში ვნატრობდი, ერთი წუთით მომცა ეს ბიძია პრაპორშიკი თბილისში და ტელევიზორს კი არა, ფართოეკრანიან ფილმს. ვაყურებივინებდი-მეთქი უფახოდ მაგრამ რას იზამ, როცა თავს ზემოთ ძალა არა გაქვს და თანაც წითელ ჭარში მსახურობ?

უველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ 5-6-საათიანი ასე გაშეშებული ჯდომის შემდეგ გვიბრძანა:

— ღურაკი, ჩტო, ზახსული?! ნე ვიძიწე, კონჩილის პერედაჩი პო პერვოი პარაგრამე, პერეკლიუჩიწე ნა დრუგოიუ!

მე დგომის თავი ნამდვილად აღარ მქონდა, ამდენი ჯდომისაგან ისე გამიშეშდა კისერი!.. ისევე ჩემი უკრაინელი წამოხტა, ვა-

თომ დაატრიალა გადამრთველი, პირით დაიწყო ტელევიზორის შიშინი და რიხიანად მოახსენა ჩვენს მტანჯველს:

— ტავარიში პრაპორშიკი, ვსე პერედარი კონჩილის!

— მალადე! — უთხრა პრაპორშიკმა. მე კი მომპარა:

— ეი, ტი, გრუზინ, ვიკლიუჩი წელევიზორ!


დავიბენი.

— პუსე ონ ვიკლიუჩიტ! — ვუთხარი და თან ვფიქრობდი, როგორ უნდა გამომეთიშა ეს ოხერი ტელევიზორი.

— ნეტ, ტი ვიკლიუჩილ, ტი ი ვიკლიუჩიში პირკატა მეცა, რანაირად გამოვითიშო ეს დახაწვაფი?! გამწარებული ვეცი და ხელის-გულებით დავიწეე ჩემი შედევრის წაშლა, მაგრამ ნურას უკაცრავად! პრაპორშიკმა მიგვანიშნა ორივეს, რომ ტანის კედელზე ხახუნით უნდა წაგვეშალა, ესე იგი, გამოგვეთიშა ტელევიზორი. დავიწეეთ საჭდომით, ბეჭებით, მხრებით, იდაყვებით კედელზე ხახუნო მე და უკრაინელმა, გულში ვფიქრობ, კიდევ კარგი ძალიან მალა არ დავხატე ეს ოხერი, თორემ ხტუნვა-ხტუნვით მოგვიწევდა მისი გამოთიშვა.

გამოდის, რომ „ლაშხადას“ ცეკვა მე უფრო ადრე, 1981 წელს მისწავლია და ისიც წითელ ქარში, ტანით ზუსტად ისეთივე მოქრაობებს ვაკეთებდით ტელევიზორის გამოთიშვა-წაშლისას, როგორც „ლაშხადას“ მოცეკვავენ.

ყოველივე ამის შემდეგ ნაუბახტში პატრონობის ექვს-ექვსი დღე მინც დაგვიმატეს საბჭოთა სამხედრო ფორმისადმი უხეშად მოაყრობიხათვის!



## ნ ა ყ ი ნ ი

### ჩანახატი

**აპარატი**, სადაც ეს მალაზია, მთებშია. აქ მრავალი ბავშვი ისვენებს. დილიდან საღამომდე მათი ჟრიაული გულს ახარებს. თბილისიდანაც ახლოს არის და ყოველ დილით მალაზიას ქალაქიდან ამოაქვს ნაყინი. იგი, როგორც წესი, თვალის დახამხამებაში გაქრება ხოლმე. ჰო, ეს ნაყინი 20 კაპიკი ღირს და გამყიდველი 25 კაპიკად ყიდის. ხმას არაფერს იღებს მშობლებიდან, ეუხერხულუბათ ხუთი კაპიკისათვის საკუთარი თავისა და გამყიდველის „შერცხვენა“!

მაგრამ მოხდა საოცარი ამბავი: ერთი პატარა ბიჭუნას დედიკო საკმაოდ პრინციული გამოდგა. გამყიდველს სასტიკი საყვედური უთხრა, დირექტორთან ჩივილით დაემუქრა! ხუთი კაპიკი დაიბრუნა! მეორე დღეს იგივე განმეორდა!.. მესამე დღეს კი დედიკო დირექტორს მიადგა, საქმე სანიერის წიგნამდე მივიდა, მაგრამ დირექტორის ბოდიშმა მოალბო დედიკო!..

მცირე ხნის შემდეგ ჩაყურატებული დირექტორი ეძახის ჩაყურატებულ გამყიდველ ქალს, დიდხანს დამცინავად უყურებს და ბოლოს კბილებში გამოცრის:

— არა გრცხვენია, გოგოვ?! ერთი ბალღი ვერ დაიმახსოვრე?!

აბული დადიანი



ლია. ბანს!

თითქმის ყველგან, ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში!

აეილოთ თუნდაც ჩაის მიკროფაბრიკები! სპეციალისტებმა კარგად უწყვიან, რომ მიკროფაბრიკების თავდაპირველი დანიშნულება იყო ნედლეულის მოზღვაეების, ე. წ. „საპიკო“ სიტუაციის შექმნის ეამს ძირითადი ფაბრიკებისთვის ხელის წაშველება: ნედლეულის იმ ნაწილისგან, რომლის დამუშავებაც ძირითად ფაბრიკას უჭირდა, მიკროფაბრიკას ნახევარფაბრიკატი უნდა ეწარმოებინა და ძირითადისთვის მიეყიდა!

დღეს თითქმის აღარავის ახსოვს მიკროფაბრიკების ეს პირვანდელი დანიშნულება და ისინი დიდ, მათთვის ძნელად დასაძლევ ტვირთს შესტიოდებია!

ჯერ ერთი, იმ რაიონებში, სადაც მიკროფაბრიკები არსებობს, როგორც წესი, ჩაის ხარისხიანი პროდუქციის გამოშვების გემის თითქმის მესამედი მათზე მოდის. ეს მაშინ, როდესაც დიდი სიმძლავრის მქონე ძირითადი ფაბრიკები ძირითადად დაუტვირთავია. მეორეც (ამასაც სპეციალისტები ამტკიცებენ), მიკრო და ძირითადი ფაბრიკების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან (ცხადია, იგულისხმება უკანასკნელთა უპირატესობა).

ამ ორი ტიპის ფაბრიკებს შორის მთავარი განსხვავება მინც სხვა რამეშია: თუ ძირითადი ფაბრიკა ასე თუ ისე მინც ახერხებს დამზადებული ნედლეულის ხარისხისათვის ბრძოლას (ასე თუ ისე-მეთქი, იმიტომ მოგახსენებთ, რომ დღეს შეუძლებელია ან თითქმის შეუძლებელია აიძულო დამამზადებელი, მაღალხარისხიანი ნედლეული კრიფოს), მიკროფაბრიკისთვის ეს პრობლემა არ არსებობს, რადგან იგი ამა თუ იმ სამეურნეო ობიექტის (კომპლექსების ან საბჭოთა მეურნეობის) საკუთრებას წარმოადგენს და ყოვლად შეუძლებელია თავის პატრონს დამზადებული პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის მუშტი-კრივი

გაუმართოს. აქ ხელშეუშლელად მოქმედებს პრინციპი: რაც მოგიტანე, ის უნდა გადაამუშაო!

ფუქსიტყვაობა რომ არ გამოგვივიდეს, მივმართოთ ფაქტებს!

გაღის რაიონში არის სოფელი ლუმურიში. ლუმურიშის ფარფალიას სახელობის კომპლექსის მიკროფაბრიკა აქვს. ამ ფაბრიკის წარმოების უფროსი (ანუ იგივე დირექტორი) არის თენგიზ ჯობავა. გულახდილად უნდა ითქვას, რომ აქ პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლა ხავებით უგულვებლყოფილია. მიკროფაბრიკაში მხოლოდ იმის განსაზღვრა ხდება, თუ რამდენი ტონა ნედლეული შემოდის. ხოლო რამდენი რა ხარისხისაა, არავის აინტერესებს. ეს შემდეგ „ინსპექტრება“ იმის მიხედვით, რას მოითხოვს სიტუაცია! ალბათ მეითხველი თავისითაც მიხვდება, თუ რატომ უნდა იცოდნენ მიკროფაბრიკის მესვეურებმა შემოსული ნედლეულის ზუსტი რაოდენობა. თუმცა მინც მივანიშნებ: მერე, „ხელის მიერ ხელის ბანვის“ დრო რომ დადგება, არაფერი შეეშალოთ და დამამზადებელ-მწარმოებელი ერთმანეთის მიმართ პირშავად არ გამოიყურებოდნენ.

ისე, რა დროსაც უნდა მიხვიდეთ, წარმოების უფროსს (იმავე დირექტორს) თენგიზ ჯობავას ადგილზე იშვიათად იპოვით. დილას გეტყვიან: ჯერ არ მოსულა, მთელი დამე აქ იყო და, ალბათ, ისვენებსო! საღამოს დაგამშვიდებენ: მთელი დღე აქ იყო, ახლანან წაიგია და მღე მოვით! სხვათა შორის, სანთლით რომ ეძებოთ, ვერც მიკროფაბრიკის ლაბორანტი მშია გოგოხიას იპოვით. ისე, ჩვენს შორის დარჩეს და, მე ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ საერთოდ მიკროფაბრიკებს ლაბორანტები ტყუილბრალოდ ჰყავთ, როგორც რუსები იტყვიან, „დღია გალოჩკი“. მათი პირდაპირი მოვალეობაა ფაბრიკაში შემოსული ნედლეულის დახარისხება და სათანადო მაჩვენებლების საგანგებო ეურნალში შეტანა. ეს კი, როგორც წესი, არ სრულდება! კიდევ მეტი: მიკროფაბრიკათა უმრავლესობას საერთოდ არ გააჩნია ამ დანიშნულების ეურნალი, ნედლეულის ხარისხის განსაზღვრაზე ხომ

ლაპარაკიც ზედმეტია! ლაბორანტები კი ყველგან ჰყავთ, ისინი საკმაოდ სოლიდურ გასამრჩელოს იღებენ, რაც, ცხადია, პროდუქციის თვითღირებულებასაც საჭმის დასწრის „კეთილისმყოფელ“ დაღს.

უკეთესი მდგომარეობა არც დიხაზურგის მიკროფაბრიკაშია. უფრო სწორად, ზუსტად იგივე მდგომარეობაა, რაც ლუმურიშის მიკროფაბრიკაში.


23 ივლისს დიხაზურგის მიკროფაბრიკაში ერთადერთი რიგითი თანამშრომელი დაგვხვდა. გადამწვარი, გახურებულ-აშშორებულ ნედლეულით სავსე კონვეიერთან იდგა და ხელეებს უმწეოდ შლიდა: რომელიღაც მანქანას დეტალი დაუზიანდა და ყველანი იმ დეტალის საძებრად წავიდნენო! 26 ივლისსაც იგივე სურათი განმეორდა იმ განსხვავებით, რომ ამჯერად ადგილზე მიკროფაბრიკის მთავარი ტექნოლოგი ბონდო ძანძავა დაგვხვდა. ყველანი, მათ შორის, წარმოების უფროსი ბოჩია მარღანაც, კომპლექსის კანტორაში არიან წასული, სადაც პარტიული კრება ტარდებოთ! ჰო, იქნებ დღეს საღამო მართლა ტარდება წინანდებურად „მასშტაბური“ პარტიული კრებები, მაგრამ მე იმან გამოაცა, ყველანი რატომ უნდა წასულიყვნენ კრებაზე დასასწრებად?!

აქაც არავითარი ყურადღება არ ექცევა დამამზადებელი პროდუქციის ხარისხს. ფაბრიკის ეზოში ნედლეულით დატვირთული ოთხი თუ ხუთი საბარგო მანქანა იდგა. კონვეიერზე კი ისევე ისეთივე წუნდებული, გაუხეშებული, ამავე დროს გახურებულ-გადამწვარი ნედლეული იყო! ლაბორანტი ხომ არ იყო ადგილზე და არა, შემოსული ნედლეულის აღრიცხვის ეურნალიც ვერ გვაჩვენეს!

ერთი სიტყვით, ლუმურიშია და დიხაზურგის მიკროფაბრიკებში ჩაის ნედლეულის მიღება-გადამუშავების საქმე თვითღინებაზე მიშვებული და ამას, ალბათ, რაიონის სოფლის მეურნეობის მეხვეურთა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს!

ნოდარ ხუნდაძე, „ნიანვის“ კორესპონდენტი აფხაზეთის ახს რესპუბლიკაში.

ნ. ხ. ბ. ზუბაშვილისა





უსიტყვოდ

ამ ბოლო დროს წინ წავიდა.  
აუკვდა და განვითარდა  
საქართველოს ხელოვნება —  
მთა მთასთან ჯა ბარი ბართან!

მაგრამ კიდევ უფრო მეტად.  
მეტი ცეცხლით. მეტი გზებით  
განვითარდა ხელოვნება  
ქიშის, მტრობის და ბეჭდების!..

ხელოვნება კაცისკამის.  
„ძმთა უისტის“ და სიავის.  
ქვის სროლის და ლაფში გახვრის  
მეჭობლის და თავის თავის!..

განვითარდა ღვარძლის, შურის  
ნაირ-ნაირფეროვნება.  
ძმთა შორის შულღის, ქორის  
ოსტატობა-ხელოვნება!..

წოდებებიც დაგვიხვავდა  
შესაფერი სწორედ მათი:  
ლაფში დახვრის ოსტატი და  
შეფურთხების ქვეოსტატი.

ქორის მეცნიერების და  
ხელოვნების კანდიდატი!..  
ლანძღვა-თათხვა ფრედ მთავრდება.  
ანგარიშით: ათით ათი!

შეჭიბრებაც ფრედ მთავრდება.  
ანგარიშით: ორით ორი.  
ცრუ საქმეთა დოქტორის და  
საძრახ საქმის პროფესორის!..

მეგობრებო, კიდევ მეტი,  
მეტი, შური, ზიზღი, მტრობა,  
მიღწეულით არ შეგჩერდეთ,  
სრულყოფით ჩვენი ოსტატობა!

შოთა როსვა



## ავტოგოლოგელთა გასაჭირი

ჩვენო სიმართლის მოყვარულო, მეგობარო ნიანგო! ახლა კი ნამდვილად შენი იმედი გვაქვს ვაჟა-ფშაველას გამჭირვის პირველი კვარტალის დასახლების № 47-სა და № 49 სახლებს შუა აშავალი გზის კორპუსებში მობინადრეებს! საქმე ისაა, რომ ეს აშავალი გზა აღნიშნულ ნომრებს შუა ადრე მოქმედი ქუჩა იყო, ეწოდებოდა ვაჟა-ფშაველას II შესახვევი. აქაური მობინადრეები, ვისაც ტრანსპორტით მიმოსვლა უხდებოდათ, სარგებლობდნენ ამ შესახვევით, არ სჭირდებოდათ სხვადასხვა კორპუსების წინ გავლა და მობინადრეების სიმყუდროვის დარღვევა. ხოლო მას შემდეგ, რაც ეს შესახვევი გადაკეტეს, მანქანის ყველა მფლობელი თუ ტაქსით მომსვლელი იძულებულია, ნებისმიერ დროს დაარღვიოს ის სიმყუდროვე და მივიდეს თავის დანიშნულების ადგილზე. ამ საკითხზე

ბევრჯერ დაიწერა პრესაში, მაგრამ, როგორც ეტყობა, ან არ წაუკითხავთ. ან წაიკითხეს და, ვინაიდან სხვისი სატივიარი იყო, თავი არ შეიწუხეს ამ მონაკვეთის აღდგენისთვის. ახლა ისევ შენი დიდი იმედი გვაქვს ყველას, ვინც ამ კვარტალის მობინადრეები ვართ, რომ თქვენი თვალით ნანახს, ალბათ, ყველა დაინახავს და შემდეგ ჩვენც დავინახავთ აღდგენილ შესახვევს, რომელიც ამ უბენზინობის დროს გამონაბოლქვს უფრო ნაკლებად გამოაფრქვევს და ცოტა ეკოლოგიასაც ეშველება!

ყველას მაგიერ —  
შენი ერთგული  
თენგიზ თომაძე,  
საქართველოს  
კულტურის  
დამსახურებული  
მუშაკი.



ჩვენც ვხედავთ!

ნ.ბ. ლომიძისა

(243 236531/01 0209 1526 08.08)

212515

ГУЛЬРИПШИ 3 3/80 17 8/8 0910=

К РУСТАВИ ТОЖИНЕБИС САХЕЛშიფო ТЕАТРИ  
БОРИС ЕРИСТАВИ=

СОХУМИ КОМКАВШИРИС ГЗადКЕЦИЛИ 303=  
АНЖЕЛА ФИЛФანი-

**დეკლარაცია-პრადლევა**

„ნიანის“ მკითხველებს ვთავაზობთ დეკლარაციას, რომელიც გაიგზავნა სოხუმიდან რუსთაველი და სულაც არ განსაზღვრავს საპირველპარილო ხუმრობა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ გაგანია ზაფხულშია გაგზავნილი!..

გთხოვთ დაგვეხმაროთ ერთი საიდუმლოს გამოცნობაში: ვინ ვის რას უთვლის ამ დაშფრული დეკლარაცია?

პირადად ჩემი აზრით, რუსთაველის თოჯინების სახელმწიფო თეატრის დირექტორს ამ დეკლარაციით ატყობინებენ, რომ თეატრის შენობა, რომლის აშენებასაც მსახიობები ელოდებიან ბოლო 10 წლის განმავლობაში, აშენდება და დამშენდება ჩვენი წელთაღრიცხვიდან 2371 წელს!

თქვენ რას იტყვით?

ამირან კალაძე

დღეს მე საუზმედ რაც შეკონდა, იმის მოყოლა ნაღდად ღირს: ერთი ნაპერი „გარდაქმნა“ ზედ სქლად წასმული „ლამბადით“!

სადილად დავჭექე.  
მოვიდა  
მომტანი თავაზიანი:  
— „გვაქვს „ნოვი შირის“ ხალათი, „ოგონიოკის“ წვნიანი!“  
ქამის უადრი არ ვიცოდე, კაცი ვარ, განა ვარ ვირი!  
პოდა, მივირთვი „სემ დენი“  
„გლახნობის“ ცხარე გარნირით!  
მერე ეს ჩემი სადილი გადარზარდა ვახშმად და როცა „როდინას“ ბოთლები სუფრაზე ბლომად დახვავდა, თვით „პამიატის“ დედოკოს შმაგი ვეცეკვე „ლამბადა“!

ბენეფიციის რიგში

„გვეშველება მალე?“ —  
ვკითხულობ და მესმის,  
მაგრამ დღე და ღამე  
მაინც ვეძებ ბენეფიციას.  
სადგურებთან გრძელი  
რიგი გაილამბა!..  
უსასრულოდ ველით,  
ზოგს დაეცა დამბლა!..  
საუკუნე ღამეს  
ვწელავთ, როგორც რეზინს,  
ვით ხახწაულ რამეს,  
ველით ერთ ავზ ბენეფიციას!..  
რიგში როცა ვდგებით,  
ერთურთს ვუღრენთ ავად,  
გამწარებულები  
ცოფიან მგლებს ვგავართ!..  
და ჩვენ ვიდრე ველით,  
რომ გატყდება ნავსი,  
დაქრის ზევით-ქვევით  
ასი „ლევია“ ტაქსი!..

გაფუხავული ბელაფონი

ყურმილს ვიღებ.  
შიგნით  
თითქოს გრგვინავს „ტუ“.  
ხანაც მესმის ჯიბრზე:  
„ტუუ, ტუუ, ტუ!“  
ათკაპიკიანიო.  
ვიხილ რეკვის ხარკს.  
პასუხად კი ვისმენ:  
„ჩხააკ! ჩხააკ! ჩხააკ!“  
ეს მიწვრილებს მუდამ  
ნერვს,  
იხედაც წვრილს!..  
ვეღირსები, ნეტავ,  
„წკრიი, წკრიი, წკრიი“-ხ?

ნუგზარ აფხაზავა

КОНТРОЛЬНАЯ  
ЭКЗЕМПЛЯР

# სატყუარა აკროზი

654  
4.XII.1990



იანუზ ოსენაკა  
პოლონეთი

## ყველაფერი — მოთხილამურაევისათვის!

**კლიენტი:** გამარჯობათ! გაქვთ თავისუფალი ნომრები?

**სახტუმროს ადმინისტრატორი:** სამწუხაროდ, ყველა თავისუფალი ნომერი ჩამოსული მოთხილამურეებისათვისაა დაჯავშნული!

**კლიენტი:** ო, ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა! როგორ მოვიქცე, არ ვიცი! აქ შემთხვევით კერძო ბინებს ხომ არ აქირავებენ?

**ადმინისტრატორი:** აქირავებენ, მაგრამ მხოლოდ ჩამოსული მოთხილამურეებისათვის!

**კლიენტი:** სამწუხაროა! ძალიან დავიძალე და მომშივდა!.. აქ, ახლომახლო, რესტორანს ხომ ვერ მიმასწავლით?

**ადმინისტრატორი:** კი, აქვთ კუთხეშია რესტორანი, მაგრამ უნდა გავაფრთხილოთ, რომ ყველა მაგიდა წინასწარ დაჯავშნულია ჩამოსული მოთხილამურეებისათვის!

**კლიენტი:** კიდევ სად შეიძლება წაისაუზმოს კაცმა? აქეთკენ რომ მოვდიოდი, გზაზე მაღალი, ლამაზი შენობა შევამჩნიე, რომლიდანაც მუსიკის ხმა გამოდიოდა. იქ შემთხვევით რესტორანი ხომ არ არის?

**ადმინისტრატორი:** ნაწილობრივ სწორი ბრძანდებით, ეს შენობა კულტურის სახლია, ხოლო მუსიკის ხმები მისი რესტორანის დარბაზიდან გამოდიოდა. მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ეს სახლი ჩამოსული მოთხილამურეებისათვისაა განკუთვნილი და უცხო პირთა შესვლა სასტიკად აკრძალულია!

**კლიენტი:** თქვენთან სასურსათო მაღაზია ხომ არ არის, სადაც პურისა და ძეხვის ყიდვას მაინც შევძლებდი?

**ადმინისტრატორი:** მაღაზია არაა, არის მაგიდა შეკვეთებისათვის, მაგრამ იქ მარტო ჩამოსულ მოთხილამურეებს ემსახურებიან!

**კლიენტი:** ღმერთო, ეს რა ხდება?! აქ, ახლომახლო, კინოთეატრი ხომ არ არის, დრო რომ მოვკლა?

**ადმინისტრატორი:** რა თქმა უნდა, არის ფართოეკრანიანი, აქვე, სულ ახლოს.

**კლიენტი:** და ისიც, რა თქმა უნდა, ჩამოსული მოთხილამურეებისათვის!

**ადმინისტრატორი:** ზუსტად გამოიყენეთ — ბილეთები ყველა სეანსზე დაჯავშნულია მხოლოდ მოთხილამურეებისათვის!

**კლიენტი:** ღმერთო, ჩემო, ეს რა საშინელი ქალაქია! დღესვე მივდივარ! როდის გადის მატარებელი?

**ადმინისტრატორი:** პირველის ნახევარზე, მაგრამ ბილეთებს ვერ იშოვით — მთელი მატარებელი დაჯავშნულია!..

**კლიენტი:** რა თქმა უნდა, მოთხილამურეებისათვის!

**ადმინისტრატორი:** რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა!

**კლიენტი:** კი მაგრამ, რატომ არის ყველაფერი მოთხილამურეებისათვის? ახლა, ალბათ, შეჯიბრება მიმდინარეობს!..

**ადმინისტრატორი:** არავითარი შეჯიბრება არ არის!

**კლიენტი:** კი მაგრამ, მაშინ რატომ ემსახურება ყველაფერი მოთხილამურეებს?

**ადმინისტრატორი:** ეს იმიტომ, რომ ხალხს გაუღვიძონ სპორტის ამ სახეობისადმი სიყვარული!

**კლიენტი:** რა საჭიროა?! ისედაც იმდენი მოთხილამურე გვყავს!

**ადმინისტრატორი:** საქმე ისაა, რომ მოთხილამურე საერთოდ არ გვყავს! არავის არ უნდა ამ სპორტში ჩაბმა და ტრამპლინიდან თხილამურით ხტომა!

**კლიენტი:** თუ არ უნდათ, არც არის საჭირო! ძალით რატომ აიძულებენ ხალხს!

**ადმინისტრატორი:** საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენთან ამდენს დიდი ტრამპლინი მოთხილამურეებისათვის, რომელიც რამდენიმე წელია, რაც უმიზნოდ ცდება! სად გაგონილა, რომ ამხელა ობიექტი უმიზნოდ ცდებოდეს?! მასზე ხომ ამდენი თანხა დახარჯული?!



საბირისა და იუმორის მუშრნალი „ნიანგი“ №21 (1823). ნომბერი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი  
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადღიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ჰაბუა ამირეჯიბი, ნოშაღი ბართია, რევაზ თვარაძე, ჭემალ ლოლუა (მხატვარ-რედაქტორი), ნოდარ მალაზონია, აღექსანდრე სამსონია, ბეჟან სინარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე.

ტექნიკური რედაქტორი  
ირაკლი ღუნღუა

გადაეცა ასაწყობად 3. 10. 90 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 6. 11. 90 წ. ქალაქის ზომა 60x90<sup>1</sup>/<sub>8</sub>, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს კერძო გამომცემლობა, მ. კოსტავას ქ. № 14. შეკვ. № 2134. ტირაჟი 125.000.

ქურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტ მუშაკების — 99-02-38, მდივან-მე მანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАН-ГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. М. Костава № 14.

ფასი 20 კაპ.

ინდექსი 76187



7-21



როგორც კი შეაჩნევი  
პროვინციომატიზმის  
გაძლიერებას, მაშინვე  
მიტხარი  
და მოეგვას გადაწყველება!

საქართველო  
საქართველოს

საქართველი

საქართველი  
საქართველოს